

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N 03/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 17 ივნისის N17/24 ოქმით

დებულება

საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტების საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო კვლევითი პროექტების საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის (შემდგომში – „კონკურსი“) გამართვის, კონკურსში მონაწილეობის, საკონკურსო პროექტების (შემდგომში – „პროექტი“) შეფასების, გრანტის გაცემისა და დამტკიცებული პროექტების განხორციელების მონიტორინგისა და საბოლოო შესრულების წესებს.

1.2. კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს:

ა) უნივერსიტეტში კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნას, გამორჩეული ხარისხის კვლევების განვითარებას, კვლევების ინტერნაციონალიზაციას და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას, კვლევის პროცესის ინტეგრაციას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის ზრდას;

ბ) უნივერსიტეტში ახალი ცოდნის შექმნას, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს;

გ) უნივერსიტეტის მიერ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებით განხორციელებული კვლევების შედეგების გავრცელებას (დისემინაციას);

დ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და მეცნიერების მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში („Elsevier“ და „Web of Science“ და სხვ.) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების შედეგების (სამეცნიერო სტატიები, პუბლიკაციები) გამოქვეყნებას და უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალისა და წარმატების ინდექსის გაზრდას;

ე) ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესებისა და ფორუმების ორგანიზებისა და ჩატარების გზით უნივერსიტეტის თანამშრომლობის წახალისებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა კვლევითი ცენტრების მკვლევართა შორის გამოცდილების გაზიარებას, ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად, ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას;

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N 03/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 17 ივნისის N17/24 ოქმით

1.3. კონკურსი ფინანსდება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის (შემდგომში „ინსტიტუტი“) ბიუჯეტიდან ტრანშების სახით. შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს დაფინანსების სხვა წყარო ეროვნული და უცხოური სამეცნიერო ფონდებიდან ან სხვა დონორი ორგანიზაციებიდან.

1.4. გრანტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კონკურსის წესით, რომელიც ტარდება ორ დარგობრივ კლასტერად („საგრანტო კლასტერად“):

ა) ზუსტი, საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;

ბ) ჰუმანიტარული, სოციალური, ეკონომიკური და იურიდიული მეცნიერებები.

მთლიანი საკონკურსო თანხა კლასტერებს შორის განაწილდება თითოეულში წარდგენილი კარგი პროექტების პროპორციულად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) ახალგაზრდა მეცნიერი – მაგისტრი, დოქტორი ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი; ასევე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის, დოქტორანტურის სტუდენტი;

ბ) გრანტის მიმღები – საქართველოს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი (ძირითადი პერსონალი);

გ) დამხმარე პერსონალი – ფიზიკური პირი, რომელიც ეხმარება ძირითად პერსონალს ტექნიკური ამოცანების გადაჭრაში;

დ) დარგობრივი საგრანტო კომისია – საგრანტო კონკურსზე დარეგისტრირებული პროექტების შემფასებელი შიდა და გარე ექსპერტების ჯგუფი;

ე) თანადამფინანსებელი – საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც აფინანსებს პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების ნაწილს;

ვ) თანამონაწილე ორგანიზაცია – საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია (ან არ ეწინააღმდეგება მას) სამეცნიერო კვლევების განხორციელება ან ხელშეწყობა, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

ზ) ინდივიდუალური საგრანტო პროექტი - დაფინანსების მოპოვების მიზნით, ამ დებულებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, მხოლოდ ერთი პირის მონაწილეობით წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N 03/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 17 ივნისის N17/24 ოქმით

თ) მონიტორინგი – საგრანტო პროექტით გათვალისწინებული პროექტის შინაარსობრივი და ფინანსური მონიტორინგის პროცედურა;

ი) პროექტი – დაფინანსების მოპოვების მიზნით, ამ დებულებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, ინსტიტუტში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;

კ) პროექტის ბიუჯეტი – პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების საერთო ოდენობა ხარჯვის კატეგორიების მიხედვით;

ლ) პროექტის თანახემდგვანელი – საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც თანამონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელია და კოორდინაციას უწევს პროექტის მომზადებასა და განხორციელებას პროექტის ხელმძღვანელთან ერთად;

ლ¹) პროექტის შეფასების კრიტერიუმები – პროექტის შესაფასებლად ამ დებულებით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები ქულების სათანადო მითითებით;

მ) პროექტის ხელმძღვანელი – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც პროექტს განხორციელებს საქართველოს უნივერსიტეტში, კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას და პასუხისმგებელია როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ასევე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

ნ) საანგარიშო პერიოდი – პროექტის განხორციელების დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში გრანტის მიმღები ასრულებს პროექტით გაწერილ ამოცანებს, ახორციელებს საგრანტო სახსრების ხარჯვას და დასრულების შემდგომ წარუდგენს ინსტიტუტს ანგარიშს;

ო) საგრანტო კონკურსი – ამ დებულებით გათვალისწინებული დაფინანსების მოსაპოვებლად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და კვლევების განვითარების სამსახური მიერ ადმინისტრირებული პროცედურა;

პ) ტრანში – პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული, გადასარიცხი/გადარიცხული სახსრები;

ჟ) ფინანსური მონიტორინგი - საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან;

რ) შინაარსობრივი მონიტორინგი - გრანტის მიმღების მიერ განხორციელებული კვლევის პროცესისა და მიღწეული სამეცნიერო შედეგების შესაბამისობის დადგენა ამავე საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კვლევის პროცესთან და დაგეგმილ შედეგებთან.

ს) შუალედური/საბოლოო ანგარიში – შუალედური ანგარიში მოიცავს ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას გრანტის მიმღების მხრიდან ინსტიტუტში წარდგენილ შინაარსობრივ და ფინანსურ ანგარიშს. საბოლოო ანგარიში მოიცავს პროექტის დასრულების შემდგომ გრანტის მიმღების მხრიდან ინსტიტუტში წარდგენილ საბოლოო შინაარსობრივ და ფინანსურ ანგარიშს;

ტ) ძირითადი პერსონალი – უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, დოქტორანტურის, მაგისტრატურის ან რეზიდენტურის სტუდენტი, დოქტორი, მაგისტრი ან

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N 03/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 17 ივნისის N17/24 ოქმით

მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკური პირი/პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს;

მუხლი 3. კონკურსის ადმინისტრირება

3.1. კონკურსს აცხადებს და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ინსტიტუტი და უნივერსიტეტის განათლებისა და კვლევების განვითარების სამსახური (შემდგომში - „სამსახური“), ამ დებულებით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით.

3.2. ინსტიტუტი და სამსახური:

ა) განსაზღვრავს პროექტების მიღების ვადებს, საგრანტო კონკურსის პირობებს, პროექტის ფორმებს, პროექტზე თანდართული დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშებს ფორმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს;

ბ) აცხადებს კონკურსს;

გ) ახორციელებს კონკურსში რეგისტრირებული პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას კონკურსის პირობებთან;

დ) განსაზღვრავს და ახორციელებს პროექტების შეფასებისათვის აუცილებელ პროცედურებს;

ე) ქმნის დარგობრივ საგრანტო კომისიების და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს;

ვ) უზრუნველყოფს დარგობრივი საგრანტო კომისიის მიერ პროექტების განხილვას შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას, მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით რანჟირებული სიის დადგენას, გამარჯვებული პროექტების გამოვლენას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს;

ზ) უზრუნველყოფს გამარჯვებული პროექტის დაფინანსებას;

თ) ახორციელებს დამტკიცებული პროექტის შუალედური და საბოლოო შესრულების მონიტორინგს;

ი) კონსულტაციას უწევს კონკურსანტებს. მათ შორის, პროექტის წარდგენის ეტაპზე პროექტში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რაც არ გულისხმობს კონსულტაციის გაწევას პროექტით გათვალისწინებული კვლევის აქტუალობასთან, მეთოდოლოგიასა და მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით.

3.3. კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N 03/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 17 ივნისის N17/24 ოქმით

- ა) კონკურსის გამოცხადება;
- ბ) პროექტების წარდგენა;
- გ) პროექტების შეფასება;
- დ) გამარჯვებული პროექტების გამოვლენა და დამტკიცება;
- ე) გამარჯვებული პროექტების მონაწილეებთან ხელშეკრულებების დადება.

მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება

4.1. კონკურსი ცხადდება წელიწადში ერთხელ, ყოველი კალენდარული წლის პირველ კვარტალში.

მუხლი 5. კონკურსში მონაწილეობა

5.1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ: უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს (ძირითადი პერსონალი); თანამონაწილე ორგანიზაციას (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში). ერთობლივი პროექტის შემთხვევაში პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი. თანამონაწილე ორგანიზაცია უნივერსიტეტთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს, პროექტის სხვა ძირითად პერსონალსა და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, და ასრულებს საგრანტო პროექტით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს, აგრეთვე, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს პროექტის გარკვეული ამოცანების შესრულებაში;

5.2. პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. დაფინანსებული პროექტის დამტკიცებულ ვადებში განუხორციელებლობის შემთხვევაში, რაც გამოწვეულია ობიექტური პირობებით, პროექტის ხელმძღვანელი აცნობებს შესაბამისი სკოლის/ინსტიტუტის საბჭოს, რომელიც იხილავს ზემოაღნიშნულ საკითხს. ეს უკანასკნელი პროექტის პირველი და ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, მიმართავს შუამდგომლობით (ოქმის სახით) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს პროექტის ვადის გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესახებ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თავის გადაწყვეტილებას აცნობებს რექტორსა და პროორექტორს აკადემიურ და სამეცნიერო დარგში. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეწყვეტის ან ხანგრძლივობის არაუმეტეს 6 თვით გაგრძელების შესახებ, დამატებითი დაფინანსების გარეშე.

5.3. კონკურსის ფარგლებში წარდგენილი პროექტისათვის უნივერსიტეტიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 20,000 (ოცი ათასი) ლარს. ამასთან, პროექტით გათვალისწინებული ძირითადი პერსონალის სახელფასო ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის საერთო ბიუჯეტის 50%-ს.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N 03/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 17 ივნისის N17/24 ოქმით

5.4. ინდივიდუალურ საგრანტო პროექტში დასაშვებია საგრანტო პროექტში მხოლოდ ერთი პირის მონაწილეობა.

5.5. დასაშვებია ერთი და იგივე პირის მონაწილეობა რამდენიმე საგრანტო პროექტში, ამასთან პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი.

5.6. პროექტს უნდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი, რომელიც შედგება პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) და სხვა პირებისაგან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან პროექტის ძირითადი ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელებაზე. პროექტის განხორციელებისათვის შესაძლებელია დამხმარე პერსონალის გამოყენება.

5.7. ძირითად პერსონალში (გარდა ინდივიდუალური საგრანტო პროექტისა) პროექტის განხორციელების მთლიანი პერიოდის განმავლობაში ჩართული უნდა იყოს არანაკლებ ერთი ახალგაზრდა მეცნიერი.

5.8. დამტკიცებული პროექტი უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის სახელით და მისი ან თანამონაწილე ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით.

5.9. პროექტის შინაარსი უნდა გამომდინარეობდეს ძირითადი პერსონალის და/ან პროექტის ხელმძღვანელის შესაბამისი დეპარტამენტის ან კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული 3 (სამ) წლიანი კვლევით თემატიკიდან და თან ახლდეს შესაბამისი სკოლის/ინსტიტუტის საბჭოს რეკომენდაცია (ოქმის სახით) პროექტის სამეცნიერო მნიშვნელობისა და კვლევით თემატიკასთან მისი შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 6. პროექტის წარდგენა და ბიუჯეტი

6.1. კონკურსში მონაწილეობის მიზნით პროექტი წარედგინება ინსტიტუტს. ინსტიტუტში პროექტის წარდგენა ხორციელდება დადგენილი ვადების და ფორმის დაცვით. დადგენილი ვადების დარღვევით წარდგენილი პროექტები განსახილველად არ მიიღება.

6.2. ინსტიტუტი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი:

- ა) რომელიც არ აკმაყოფილებს ამ დებულების მოთხოვნებს;
- ბ) რომელიც არ შეესაბამება დამტკიცებული პროექტის ფორმას;
- გ) რომელსაც არ ერთვის სავალდებულო დანართები.
- დ) რომელიც შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

6.3. პროექტის ბიუჯეტი უნივერსიტეტიდან მოთხოვნილი დაფინანსების ფარგლებში შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

- ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
- ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
 ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N 03/23 ოქმით
 ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 17 ივნისის N17/24 ოქმით

- ა) მივლინება;
- ბ) საქონელი და მომსახურება;
- გ) არაფინანსური აქტივები;
- დ) ზედნადები ხარჯები.

6.4. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების შემთხვევაში, გრანტის მიმღებს ავანსის სახით გადაერიცნება პროექტის ბიუჯეტის ნაწილი (პროექტის ბიუჯეტიდან მოთხოვნილ თანხის ოდენობას გამოკლებული ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსების და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების 1/4). საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიშების ინსტიტუტში წარდგენისა და ინსტიტუტის მიერ შესაბამისი განხილვის აქტის შედგენის საფუძველზე.

6.5. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა და ა.შ.

6.6. პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ტრანშების სახით.

მუხლი 7. პროექტის შეფასება

7.1. კონკურსის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად. პროექტი ფასდება შეადგენს 100 (ასი) ქულიანი შკალით.

7.2. პროექტის შეფასების პირველი ეტაპი გულისხმობს საგრანტო პროექტის შეფასებას ორი, დამოუკიდებელი გარე ექსპერტის მიერ. გარე ექსპერტს ეგზავნება დამიფრული პროექტი, პროექტის ხელმძღვანელის და მონაწილე პირთა მითითების გარეშე. გარე ექსპერტი ვალდებულია დეტალურად შეაფასოს პროექტის სამეცნიერო ღირებულება (საკვლევი თემის აქტუალურობა და სიახლე, კვლევის მიზანი, საკვლევი პროექტის მოსალოდნელი შედეგები, მათი პრაქტიკული ღირებულება, პროექტის რეალიზაციის სავარაუდო გეგმა-გრაფიკი, მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობა). გარე ექსპერტების ჯამური მაქსიმალური შეფასება შეადგენს არაუმეტეს 40 (ორმოც) ქულას.

7.3. პირველ ეტაპზე პროექტების შეფასების კრიტერიუმები:

	კრიტერიუმები და ქვეკრიტერიუმები	სუსტი	საშუალო	კარგი
პროექტის სამეცნიერო ღირებულება (მაქსიმალური 40 ქულა)				
	საკვლევი თემის აქტუალურობა და სიახლე	0-4	5-7	8-10
	კვლევის მიზანი	0-4	5-7	8-10

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
 ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N 03/23 ოქმით
 ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 17 ივნისის N17/24 ოქმით

საკვლევი პროექტის მოსალოდნელი შედეგები, მათი პრაქტიკული დირეზულება, პროექტის რეალიზაციის სავარაუდო გეგმა-გრაფიკი	0-4	5-7	8-10
მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობა	0-4	5-7	8-10

7.3¹. პროექტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ გარე ექსპერტების შეფასებაში (იგულისხმება ქულები) არსებული დიდი დისბალანსისა და სხვაობის შემთხვევაში (10 ქულიანი ცდომილება) პროექტი დამიფრული სახით ეგზავნება მესამე ექსპერტს. საერთო ქულა გამოთვლება სამივე ექსპერტის ჯამური ქულის საერთო შეწონილით.

7.4. პროექტის შეფასების მეორე ეტაპი გულისხმობს საგრანტო პროექტის შეფასებას დარგობრივი საგრანტო კომისიების მიერ (შიდა ექსპერტები), რომელთა შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო ხმათა კვალიფიციური (2/3) უმრავლესობით.

7.5. კომისიები კომპლექტდება დარგობრივი ექსპერტებისაგან საგრანტო კლასტერების მიხედვით. კომისიები აფასებენ წარმოდგენილი პროექტების პროექტის ადამიანურ პოტენციალს(მაქსიმალური 20 ქულა), პროექტის ბიუჯეტს (მაქსიმალური 20 ქულა) და პროექტის შესაბამისობას უნივერსიტეტის კვლევების სტრატეგიულ მიზნებთან (20 ქულა). შიდა ექსპერტების ჯამური მაქსიმალური შეფასება შეადგენს არაუმეტეს 60 (სამოც) ქულას.

პროექტის ადამიანური პოტენციალი (მაქსიმალური 20 ქულა)				
მკვლევართა /შემსრულებელთა კვალიფიკაციისა და სამეცნიერო პოტენციალის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან (ფასდება პროექტის ხელმძღვანელის და მკვლევრების სამეცნიერო ცოდნა, გამოცდილება და შედეგები პროექტის თემატიკსთან მიმართებაში)	0-4	5-7	8-10	
საკვლევ თემაში (პროექტში) ჩართული უცხოელი მკვლევრები და პარტნიორი ინსტიტუციები	0-2	3-4	5	
საკვლევ თემაში ჩართული დოქტორანტები და ახალგაზრდა მეცნიერები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	0-2	3-4	5	

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
 ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N 03/23 ოქმით
 ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 17 ივნისის N17/24 ოქმით

პროექტის ბიუჯეტი (მაქსიმალური 20 ქულა)				
პროექტის გეგმის და ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან	0-6	7-14	15-20	
პროექტის შესაბამისობას უნივერსიტეტის კვლევების სტრატეგიულ მიზნებთან (მაქსიმალური 20 ქულა)				
პროექტის შესაბამისობა უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან, პროექტის მდგრადობა	0-4	5-7	8-10	
რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან, მეთოდოლოგიასა და მოსალოდნელ შედეგებთან	0-2	3-4	5	
ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან, მეთოდოლოგიასა და მოსალოდნელ შედეგებთან	0-2	3-4	5	

7.6. გარე და შიდა ექსპერტების მიერ მიღებულ ქულათა დაჯამებას, საშუალო შეწონილი ქულის გამოყვანას და პროექტების რანჟირებას ახდებს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს.

7.7. თანაბარი ქულების პირობებში უპირატესობა მიენიჭება პროექტებს, რომლებიც მოკლევადიან პერიოდში მოახდენს უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის და წარმატების ინდექსის გაზრდას.

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტი

8.1. დაუშვებელია გარე ან შიდა ექსპერტი იყოს პირი, რომელმაც შესაძლოა მიიღოს უშუალო ფინანსური ან სხვა სახის პირადი სარგებელი პროექტის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში, ასევე პირი:

- ა) რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე;
- ბ) რომელიც არის დაინტერესებული მხარე – პროექტში მონაწილე ან მონაწილის ნათესავი.

8.2. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

- ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N 03/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 17 ივნისის N17/24 ოქმით

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

8.3. გარე და/ან შიდა ექსპერტი ვალდებულია, შესაბამის კომისიას და/ან ინსტიტუტს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებებისა და თვითაცილების შესახებ.

8.4. გარე და/ან შიდა ექსპერტი უფლებამოსილია, განაცხადოს თვითაცილების შესახებ, თუ თვლის, რომ იგი ვერ იქნება ობიექტური, რადგან შესაფასებელი პროექტი უწევს კონკურენციას მის სამეცნიერო მოღვაწეობას ან მან შეიძლება ნახოს პირადი სამეცნიერო სარგებელი ამ პროექტის შეფასებით.

8.5. ინსტიტუტი და სამსახური უფლებამოსილია, იმსჯელოს კომისიის წევრის ან/და ექსპერტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია ინსტიტუტისთვის და სამსახურისთვის ცნობილი გახდება.

8.6. დამტკიცებული პროექტის განხორციელების ეტაპზე კომისიის წევრის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინტერესთა კონფლიქტის დადასტურების შემთხვევაში დამტკიცებული პროექტი გაუქმდება და მიღებული ტრანში დაუბრუნდება ინსტიტუტს.

8.7. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა და დამტკიცება ხდება უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ წარმოდგენილი რანჟირების შედეგების შემოწმებისა და ანალიზის საფუძველზე. შესაბამისი გადაწყვეტილება ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს.

8.8. უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის პრეზიდენტების თანხმობით გამოსცემს გამარჯვებული პროექტების დაფინანსების შესახებ ბრძანებას.

8.9. რექტორის ბრძანების საფუძველზე გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელებთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

მუხლი 9. პროექტის მონიტორინგი

9.1. პროექტით გათვალისწინებულ ტრანშებს უნივერსიტეტი რიცხავს ავანსის სახით გრანტის მიღების მიერ შესაბამისი ანგარიშების წარდგენის საფუძველზე. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, სამსახური (შინაარსობრივი მონიტორინგი) და საფინანსო დეპარტამენტი (ფინანსური მონიტორინგი) ახორციელებენ პროექტის შინაარსობრივ და ფინანსურ მონიტორინგს.

9.2. პროექტის შინაარსობრივი მონიტორინგი გულისმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმებას.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N 03/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 17 ივნისის N17/24 ოქმით

9.3. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ გადარიცხული თანხმების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

მუხლი 10. პროექტის შეწყვეტა და დასრულება

10.1. უნივერსიტეტი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს გრანტის მიმღების დაფინანსებას (შესაბამისად, შეწყდება პროექტი), თუ გრანტის მიმღებმა არ შეასრულა პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია.

10.2. გრანტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობები დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ:

- ა) პროექტის ფარგლებში, ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე ინსტიტუტში წარდგენილია შესაბამისი ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიშები და შედარების აქტები.
- ბ) ინსტიტუტისა და სამსახურის მიერ შედგენილია საგრანტო პროექტის შესრულების განხილვის აქტი;